ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 1998 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება *Gut Springenheide, C-210/96, ECLI:EU:C:1998:369:*

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) განმარტა, თუ რა სტანდარტი უნდა იქნეს გამოყენებული მომხმარებელთან მიმართებით იმის დასადგენად, არის თუ არა გაყიდვების ხელშეწყობის მიზნით გაკეთებული განცხადება შეცდომაში შემყვანი:

“31 […] იმის დასადგენად, იყო თუ არა აღწერილობა, სავაჭრო ნიშანი ან სარეკლამო განცხადება მყიდველის შეცდომაში შემყვანი, სასამართლომ გაითვალისწინა **სავარაუდო მოლოდინი საშუალო მომხმარებლისა, რომელიც არის საკმაოდ კარგად ინფორმირებული და გონივრულად დაკვირვებული და წინდახედული […].**

32 შესაბამისად, ეროვნულმა სასამართლოებმაც, ზოგადად, სწორედ ასეთი პირობების მხედველობაში მიღებით უნდა შეაფასონ გაყიდვების ხელშეწყობისთვის გამოყენებული აღწერილობის თუ განცხადების ნებისმიერი შეცდომაში შემყვანი ეფექტი.”

[…]

“37 თუმცა, კავშირის სამართალი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ როდესაც ეროვნული სასამართლო განსახილველი განცხადების ან აღწერილობის შეცდომაში შემყვანი ბუნების შეფასებისას განსაკუთრებულ სირთულეებს აწყდება, მას გადაწყვეტილების მისაღებად, თავისი ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად, შესაძლოა დასჭირდეს კვლევის ჩატარება მომხმარებელთა გამოკითხვის მიზნით ან ექსპერტის დასკვნა, როგორც ინსტრუქცია ამ გადაწყვეტილების მისაღებად.“

მოკლე მიმოხილვა:

დირექტივის 2005/29/EC მე-5 მუხლი, რომელიც უსამართლო კომერციული საქმიანობის აკრძალვას შეეხება, ამ უკანასკნელის განმარტებისთვის მე-2 პუნქტის „ხ” ქვეპუნქტში იყენებს **საშუალო მომხმარებლის** ცნებას. ამავე დირექტივის მე-7 მუხლი კი განსაზღვრავს შეცდომაში შემყვანი უმოქმედობის დეფინიციას, რომელიც ასევე **საშუალო მომხმარებელს** უკავშირდება.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი XXIX

ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 11 მაისის დირექტივა 2005/29/EC შიდა ბაზარზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ („დირექტივა არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ")
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 2005/29/EC მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ხ" ქვეპუნქტი და მე-7 მუხლის 1-ელი პუნქტი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი; 26-ე მუხლის 1-ელი პუნქტი *(სარეგისტრაციო კოდი: 240110010.05.001.020542; 15/12/2023 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**საშუალო მომხმარებელი**
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	*1998 წლის 16 ივლისის სასამართლოს გადაწყვეტილება, Gut Springenheide GmbH and Rudolf Tusky v Oberkreisdirektor des Kreises Steinfurt - Amt für Lebensmittelüberwachung, Case C-210/96, ECLI:EU:C:1998:369.*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.